პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 31 (941) | კვირა, 15 აპრილი, 1956 წ. | გამოცემის მე-12 წელი | ფასი 30 კაპ.

ხუთი ქვეყნის ძალოსნები

რსფსრ-ს, უკრაინის, პოლონეთის, ავსტრიისა და ირანის ძალოსანთა საერთაშორისო შეხვედრის მეორე დღემ ახალი წარმატება მოუტანა საბჭოთა სპორტსმენებს. არც ისე დიდი ხნის წინათ, ქვესაშუალო წონის ძალოსანმა თ. ბოგდანოვსკიმ სამჭიდის ჯამში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი, მაგრამ, როგორც წესი, მსოფლიო მიღწევა სამჭიდში მსოფლიო რეკორდად მტკიცდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დამყარებულია ისეთ შეჯიბრებაზე, რომელშიც სამი სახელმწიფოს ძალოსანთა გუნდი მაინც მონაწილეობს. ამიტომ ბოგდანოვსკის სწორედ ამ შეჯიბრებაზე მართებდა რამდენიმე ხნის წინათ მოპოვებული შედეგის განმეორება. საბჭოთა ძალოსანმა წარმატებით გადაწყვიტა ეს რთული ამოცანა და მსოფლიო რეკორდების ცხრილში კიდევ ერთი შესწორება შეიტანა. ბოგდანოვსკიმ ორი ხელით აჰიდა 130 კილოგრამი, აიტაცა — 122,5 კილოგრამი, აჰკრა — 160 კილოგრამი და ამერიკელ ძალოსან კონოს მსოფლიო რეკორდი 2,5 კილოგრამით გააუმჯობესა. მაგრამ სპორტსმენს კიდევ ჰქონდა ერთი ცდის უფლება. შტანგის წონა 162,5 კილოგრამამდე გაზარდეს. ეს წონაც დაძლეულ იქნა. ამრიგად, ბოგდანოვსკიმ 5 კილოგრამით გააუმჯობესა კონოს მსოფლიო რეკორდი, რომელიც 410 კილოგრამს უდრიდა.

საშუალო წონაში უძლიერესი აღმოჩნდა ტ. ლომაკინი (რსფსრ) — 430 კგ. ქვემძიმე წონაში — ვ. მატიუხა (უკრაინა) — 420 კგ.

მძიმე წონაში ყველას აჯობა ს. რომანოვსკიმ (რსფსრ), რომელმაც სამჭიდში 435 კილოგრამი დააგროვა. ამ წონით კატეგორიაში ახალი რეკორდით აღინიშნა ბელორუსიელი ე. ნოვიკოვის გამოსვლა (მონაწილეობდა პირად შეჯიბრებაში), რომელმაც ორი ხელით აჰიდა 160-კილოგრამიანი შტანგა და დაამყარა საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი მძიმე წონის ძალოსანთათვის.

• • •



სურათებზე: ზევით — საბჭოთა ძალოსანი რ. ხაბუტდინოვი, რომელმაც შეჯიბრების პირველ დღეს მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ქვევით — ირანელი ძალოსანი მაჰმუდ ნამდიუ შეჯიბრებაზე.

სტარტზე!

ფიზკულტურასა და სპორტში ახალგაზრდობის ფართო მასების მიზიდვის მიზნით საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება მიმდინარე წლის გაზაფხულზე მოეწყოს მასობრივი საკავშირო პროფკავშირულ-კომკავშირული კროსი. ძირეულ კოლექტივებში კროსი ჩატარდება 15 მაისამდე, რაიონებსა და ქალაქებში — 25 მაისამდე. ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთის ოლქებში კროსის ჩატარების ვადების განსაზღვრა დაევალა ადგილობრივ ფიზკულტურულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

მასობრივი პროფკავშირულ-კომკავშირული კროსის პროგრამაშია რბენა 500, 800, 1500 და 5000 მეტრზე. ფიზკულტურისა და სპორტის, აგრეთვე კომკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტები გამარჯვებული ფიზკულტურული კოლექტივის დასაჯილდოებლად აწესებენ პრიზს. ის ფიზკულტურული კოლექტივი და კომკავშირული ორგანიზაციები რომლებიც შეჯიბრებაში ყველაზე მასობრივად გამოვლენ, დაჯილდოვდებიან ფიზკულტურის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური კომიტეტებისა და კომკავშირის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტების სიგელებით.

ფიზკულტურისა და სპორტის, აგრეთვე პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკების კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების წარდგინების საფუძველზე საუკეთესო ფიზკულტურული კოლექტივი, სპორტსაზოგადოება, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები დაჯილდოვდებიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სიგელებით.

კროსში გამარჯვებულის სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდება რაიონულ და საქალაქო შეჯიბრებებში გამარჯვებული 10 საუკეთესო სპორტსმენი.

ჭაბუკებო და ქალიშვილებო, ყველანი საკავშირო პროფკავშირულ-კომკავშირული მძლეოსნური კროსის სტარტზე!

ბრძოლისუნარიანი, მტკიცე კოლექტივისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოცემულია სახალხო მეურნეობის განვითარების, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლების დიადი პროგრამა.

პარტიის ყრილობის დირექტივებში დასახული ამოცანები ჩვენი საქმიანობის მტკიცე პროგრამაა. მთელი ჩვენი ენერგია, გამოცდილება, უნარი უნდა მოვახმაროთ მის ცხოვრებაში გატარებას. ამიტომ საჭიროა მუშაობის გარდაქმნა. პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცებაზე. ფაქტია, რომ ჩვენი რესპუბლიკა ვერ დაიკვეხნის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების ბრძოლისუნარიანობითა და ორგანიზაციული სიმტკიცით. თუ აქა-იქ არსებობენ მოწინავე კოლექტივები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუშაობა ჩვენი საქმიანობის ამ ძირითად დარგში დუღდეს და გადმოდუღდეს.

ამ მნიშვნელოვან საქმეში ჩამორჩენა, პირველ რიგში, იმის ბრალია, რომ არასწორად ეწყობოდა შეჯიბრებები. ფაქტიურად ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქალაქებისა და რაიონების ნაკრები გუნდები. სპორტული საზოგადოებების მთელი ყურადღება გადატანილი იყო სპორტსმენთა ჯგუფზე. ძირეული კოლექტივები კი ყოველგვარი ყურადღების გარეშე რჩებოდნენ. ეს არასწორი პრაქტიკა აუცილებლად უნდა აღმოვფხვრათ. შემდეგში შეჯიბრებები უნდა მოვაწყოთ ქალაქებისა და რაიონების შიგნით, ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში. საჭიროა ყოველმხრივ დავეხმაროთ ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივს სასწავლო-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებაში.

ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივების ხელმძღვანელები ტრაბახობენ, რომ მათ მიერ მოწყობილ შეჯიბრებებს მოწვეული, ავტორიტეტიანი მსაჯები სჯიან. მერე რა არის აქ სატრაბახო? კოლექტივის მუშაობისათვის გამოყოფილი თანხის ნახევარი მათ მიაქვთ, ხოლო დარჩენილით ვერაფერს აკეთებენ. რატომ უნდა ხდებოდეს ასე? კოლექტივის საბჭომ რომ დროზე იზრუნოს საზოგადოებრივ კადრებზე, ე. ი. მსაჯების, მწვრთნელების, ინსტრუქტორების, ფიზორგების მომზადებაზე, მაშინ ფიზკულტურული მუშაობისათვის განკუთვნილი მთელი თანხა მოხმარდება ბაზების აგებას, კეთილმოწყობას, ინვენტარის შეძენას და სხვა აუცილებელ საჭირო საქმეს.

ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების განმტკიცებაში უდიდესი წვლილი უნდა შეიტანონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. საბჭოთა ახალგაზრდობის ავანგარდმა — კომკავშირმა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაშიც უნდა გამოიჩინოს თავი.

მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობა. დღეისათვის ეს მეტად სასარგებლო საქმე ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ძნელად მოიძებნება ისეთი საწარმო, სადაც სისტემატურად ეწყობოდეს დილის გამამხნევებელი ვარჯიში. ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა არც სკოლებში გვაქვს. ჯანმრთელობის განმტკიცების ინტერესები მოითხოვენ მასობრივად დავნერგოთ ფიზიკური ვარჯიშები მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა, მოსწავლეთა შორის. ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და პროფკავშირების რესპუბლიკურმა საბჭომ ერთობლივად უნდა შეიმუშაონ ღონისძიებები, რომლებიც ძირფესვიანად აღმოფხვრიან ამ საქმეში არსებულ ჩამორჩენებს.

უნდა აღვადგინოთ მასობრივი სპორტული ზეიმების კარგი ტრადიცია. ჩვენ ხშირად ვწერთ, რომ შეჯიბრების წინ გაიმართა სპორტსმენთა პარადი, მაგრამ რას წარმოადგენს შეჯიბრების ეს საზეიმო ნაწილი? სპორტსმენები მოვალეობის მოხდის მიზნით ეწყობიან მაყურებლის წინ. მათში არ ჩანს მწყობრის პატივისცემა, მოკლე მისალმების შემდეგ ფეხშეუწყობლად, მოდუნებული ტოვებენ მოედანს. რატომ არ შეიძლება სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით ჩავატაროთ მოსწავლეთა, სტუდენტთა მასობრივი ტანვარჯიშული გამოსვლები, სპორტული ზეიმები? ასეთივე ღონისძიება შეიძლება მოეწყოს ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მიერ საწარმოთა სტადიონებზე.

რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონი რამდენჯერმე გამოსულა მარტივი ტიპის მოედნების მშენებლობის ინიციატორად, შესდგომიხართ მუშაობას, მაგრამ ეს კეთილშობილური თაოსნობა ბოლომდე ვერასოდეს მივიყვანეთ. ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ყველა საწარმოს, სკოლას, კოლმეურნეობას ჰქონდეს საკუთარი მოედანი. მოედნის მოწყობა ერთი საქმეა, მაგრამ მისი მოვლა-პატრონობა — მეორე. რამდენი მოედანია რესპუბლიკაში, რომელთა აგებაზე დიდი შრომა გაუწევიათ, თანხებიც დახარჯულა, ახლა კი უპატრონოდაა მიტოვებული. საჭიროა რაიონულმა კომიტეტებმა შეისწავლონ მათ ტერიტორიაზე მდებარე სპორტული ბაზების მდგომარეობა, დაუყოვნებლივ აღმოფხვრან ასეთი ფაქტები და პირველ რიგში იზრუნონ კომპლექსური მოედნების აგებაზე.

რესპუბლიკის სპორტულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საზოგადოებრივმა აქტივმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ბრძოლისუნარიანი, ორგანიზაციულად მტკიცე ფიზკულტურული კოლექტივების შექმნას. ძირეული კოლექტივი მაღალი თანრიგის სპორტსმენთა კერაა, აქ ეყრება საფუძველი ჩვენს წარმატებას.

ჩვენს დიად სამშობლოში

შემოქმედებითი მეგობრობა

ხაბაროვსკის სამხარეო დრამატული თეატრის სცენა უცნაურად გამოიყურებოდა. დეკორაციების ადგილი სპორტინვენტარს ეკავა. დარბაზი სავსე იყო ქალაქის ფიზკულტურელებითა და ხელოვნების მუშაკებით. ისინი შეკრებილიყვნენ, რათა საფუძველი ჩაეყარათ ფიზკულტურელთა და ხელოვნების მუშაკთა თანამეგობრობისათვის.

ხელოვნების მუშაკებმა გადაწყვიტეს ენერგიული მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადებაში. მსახიობები მოაწყობენ გამოსვლებს წარმოებადაწესებულებათა ფიზკულტურულ კოლექტივებში, სპორტსმენები თავის მხრივ ხელოვნების მუშაკებს დაეხმარებიან მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებაში.

ტანვარჯიშული სკოლა ქალებისათვის

მოსკოვის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებით ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან გაიხსნა ტანვარჯიშული სკოლა ქალებისათვის. სკოლის ძირითად მსმენელებს წარმოადგენენ საშუალო ასაკგადაცილებული დიასახლისები და მუშამოსამსახურეები, რომლებსაც საშუალება არა აქვთ იმეცადინონ სპორტულ სექციებში.

სკოლის მსმენელთა შორის არიან ყველა პროფესიის ქალები, მათ შორის მეცნიერებათა კანდიდატები ანდრეევსკაია, პოლუხინა, ინჟინერი ჰეიძე, ექიმი დიმიტრიევა და მრავალი სხვა.

მხატვრული ტანვარჯიშის სკოლა მუშაობს საღამოობით, როცა სპორტსმენები თავისუფალი არიან შრომითი საქმიანობისაგან. უფროს მასწავლებლად მოწვეულია ლ. ალექსეევა, რომელსაც მხატვრულ ტანვარჯიშში მწვრთნელობის 40 წლის სტაჟი აქვს.

პრეტენდენტთა ტურნირი

IX ტურში პეტროსიანმა კერესს დებიუტში პაიკი შესწირა და თამაში გაამწვავა. მაგრამ კერესმა პოზიციის გამარტივებით 21-ე სვლაზე ყაიმს მიაღწია. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე საბო-გელერის, სპასკი-პანოსა და პილნიკ-სმისლოვის შეხვედრები, ბრონშტეინ-ფილიპის პარტია გადაიდო ბრონშტეინის უპირატესობით.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ბრონშტეინმა მოუგო ფილიპს და პანოს ყაიმზე შეუთანხმდა.

ამრიგად, დამთავრდა პრეტენდენტთა ტურნირის პირველი წრე. შეჯიბრებას ლიდერობს ე. გელერი, რომელსაც 6 ქულა აქვს, შემდეგ არიან: დ. ბრონშტეინი და პ. კერესი — 5,5 ქულა თვითეულს, ვ. სმისლოვი — 5 ქულა, ტ. პეტროსიანი — 4,5 ქულა და ა. შ.

შემდეგი X და XI ტურები გათამაშდება ქალაქ ლევერდენში (პოლანდია).

სურათზე: ვ. სმისლოვი (მარცხნივ) და ლ. საბო თამაშის დროს.

საქართველოს სპარტაკიადის II ეტაპზე

სტუდენტები ფინიშზე

დედაქალაქის სტუდენტთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების 17 გუნდი მონაწილეობდა. უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა, მეორეზე გამოვიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის, ხოლო მესამეზე — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მძლეოსნები.

ტექნიკუმებს შორის უძლიერესები იყვნენ ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტები.

ველოსიპედისტთა შეჯიბრება საქართველოს სამხედრო გზატკეცილზე მოეწყო. მონაწილეობდა უმაღლესი სასწავლებლების ქალთა და ვაჟთა 8-8 კოლექტივი (ტექნიკუმები სპორტის ამ სახეობაში არ მონაწილეობდნენ). შეჯიბრების პროგრამაში იყო რბოლა ვაჟებისათვის 50 კილომეტრზე და ქალებისათვის 25 კილომეტრზე. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის გაიმარჯვეს სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის, მესამეზე — რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდები.

სპარტაკიადის ყველა სახეობის მიხედვით გუნდური პირველი ადგილი მიეკუთვნა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, მესამეზე — ვ. ი. ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივი.

შ. ქირია

გამოვლინდა გამარჯვებული

დამთავრდა კიროვის სახელობის რაიონის სპარტაკიადა, რომელიც ერთ თვეს გრძელდებოდა. შეჯიბრების ყველა სახეობაში მონაწილეობა მიიღო 1365-მა სპორტსმენმა. სკოლებში პირველი ადგილი მიეკუთვნა 65-ე სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივს, მეორეზე 66-ე, მესამეზე — 72-ე სკოლის წარმომადგენლები.

წარმოება-დაწესებულებათა შორის სპარტაკიადაში გამარჯვებულებად გამოვიდნენ არტელ „რემობუვის", სანაჩმოსხმელო ქარხნისა და წინდების საქსოვი ფაბრიკის სპორტსმენები.

უ. ჭიჭინაძე

ოთარ მოდებაძე

ბაკურიანის დილა

მთვლემარე ბაკურიანი
ირიბად უცქერის მნათობს:
— რამდენი ხხივი დალვარა,
მას მაინც მზრუნზე ათოვს.

შორს ნისლი მოჩანს ფაფუკი,
თითქოს ხეობა ხუნთქავს,
არსად არ არის ჰაერი
ასე ჯანსაღი, სუფთა.

ბანაკი წამოიშალა,
ველს ყრიამული ავსებს,
მკერდგალეღილი ბიჭები
მოაბიჯებენ გზაზე.

ნაძვებში მოჩანს ტრამპლინი
თითქო ახული ცამდი,
აქ გამოჩნდება ყველაზე
უშიშარი და მარდი.

დაიწყო — ჰაერს მიაპობს
თხილამურები წყვილად...
მზე გაოცებით დაჰყურებს
ბაკურიანის დილას.

სრულვყოთ მოფარიკავეთა ტექნიკა

(ლატვიისა და საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრის შესახებ)

ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკავეთა მომზადების დონის შესამოწმებლად მოწვეულ იქნა ლატვიის რესპუბლიკის მოფარიკავეთა ნაკრები კოლექტივი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრაში საქართველოს ნაკრები შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა. გუნდის სამი ძირითადი წევრი: სპორტის ოსტატი რ. ცირეკიძე, ჯ. ზენაიშვილი და ი. ოსიპოვი მოსკოვში არიან და ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენებთან ერთად ემზადებიან საერთაშორისო შეხვედრისათვის. ამ გარემოებამ ჩვენი მოფარიკავეების წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა დააყენა.

შეჯიბრება ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამით. აღსანიშნავია, რომ „პიშჩევიკის" ბაზა მოუმზადებელი შეხვდა ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას.

შეჯიბრება ერთდროულად დაიწყო სამ საფარიკაო ბილიკზე. პირველ ბილიკზე იბრძოდნენ ელასტიკური ხიშტით მოფარიკავენი, ხოლო მეორე და მესამეზე — რაპირისტი ქალები და ვაჟები. სპორტულად დაძაბული და საინტერესო გამოდგა ქალთა შეხვედრები. ტექნიკურად კარგად მომზადებულ ლატვიელებს წინ აღუდგნენ ფიზიკურად ძლიერი და ტემპერამენტიანი ქართველი გოგონები. შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ი. ესაიაშვილმა და ლ. ფანჩვიძემ, რომლებმაც ოთხ-ოთხი შეხვედრიდან სამ-სამი გამარჯვება მოუტანეს საქართველოს გუნდს. მათი ბრძოლები მეტად გაზრებული და შინაარსიანი იყო. ისინი სწრაფი, მოულოდნელი და ამასთან ტექნიკურად სწორად შესრულებული იერიშებით ზედიზედ აღწევდნენ გამარჯვებას.

როდესაც ანგარიში ჩვენი გუნდის სასარგებლოდ (8:7) იყო, ბილიკზე გამოიძახეს ი. ესაიაშვილი და ა. ძვინკო (ლატვია). ლატვიელის მოგების შემთხვევაში ანგარიში თანაბრდებოდა და ჩხვლეტების შეფარდებით გამარჯვება შეიძლება სტუმრებს დარჩენოდათ. ასეთ შემთხვევებში მოფარიკავეები ხშირად იბნევიან და სპორტული „შიშით" შეპყრობილნი ვერ ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს.

ბრძოლა დაიწყო ორმხრივი დაზვერვით, ხოლო შემდეგ მოულოდნელი და სწრაფი იერიშით ი. ესაიაშვილმა პირველი ჩხვლეტა აგემა მოწინააღმდეგეს. მაგრამ ლატვიელი მოფარიკავე ამან როდი დააბნია. იგი თვით გადმოვიდა საპასუხო იერიშზე და ორი ჩხვლეტა მიაყენა ი. ესაიაშვილს. მდგომარეობა თანდათან გართულდა. ქართველმა მოფარიკავემ სწრაფად შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა, კონტრიერიშზე გადავიდა, ფარვის გარეშე თვით შეტევას შეტევით პასუხობდა. ი. ესაიაშვილის ტაქტიკა სწორი აღმოჩნდა. მან თავის გუნდს ფრიად საჭირო მოგება შემატა.

შედარებით ნაკლებ წინააღმდეგობას წააწყდნენ საქართველოს რაპირისტი ვაჟები, რომლებმაც შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 13:3. აქ აღსანიშნავია ტ. მესხი და ი. დავიდოვსკი, რომლებიც ყველა შეხვედრაში გამარჯვებული გამოვიდნენ.

რესპუბლიკის ნაკრები გუნდის ნაკლოვან მხარედ ჩაითვლება ის, რომ სპორტსმენები არადამაკმაყოფილებლად ფლობენ ელასტიკური ხიშტით ბრძოლას. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ჩვენი ახალგაზრდობა შედარებით ნაკლებად ეტანება ფარიკაობის ამ სახეობას. მაგრამ უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სტუმრები. შეხვედრა მოიგო საქართველოს გუნდმა 12:4. ოთხ ბრძოლაში გაიმარჯვა შ. ენდელაძემ.

საინტერესო გამოდგა ესპადრონით ბრძოლა. აქ მოწინააღმდეგე უფრო მომზადებული აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ამ შეხვედრებში ნ. ასათიანმა ოთხი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ჯ. მაჭავარიანმა — 3. გუნდური შეხვედრის ანგარიშია 10:6 საქართველოს ესპადრონისტების სასარგებლოდ.

ესპადრონით ფარიკაობა ხასიათდება ბრძოლის დინამიურობით, საფარიკაო ფაზების სირთულით, მრავალფეროვნებით, დროის მაქსიმალური, ზუსტი შერჩევით და მოწინააღმდეგის ჩანაფიქრის გამოცნობით. ამ მხრივ გამოირჩევა ვ. გოგელია. ფარიკაობის ამ სახეობაში სამაგალითო იყო ნ. ასათიანი. იგი მოქმედებდა გაბედულად, მაგრამ როცა მდგომარეობა რთულდებოდა, ზედმეტ სიფრთხილეს იჩენდა და მოწინააღმდეგის შეცდომებს ჯეროვნად ვერ იყენებდა ჯ. მაჭავარიანი ითვლება შედეგიან მებრძოლად და ტაქტიკურად სწორი მოქმედებით ხშირად აღწევს გამარჯვებას, მაგრამ მის მიერ ჩატარებული კარგად გააზრებული იერიში ხშირად სასურველ შედეგს ვერ აღწევდა დაბალი ტექნიკის გამო.

ლატვიის გუნდის ელექტროდაშნით მოფარიკავეები ტექნიკურად და ტაქტიკურად კარგად მომზადებული აღმოჩნდნენ. დასაწყისში ანგარიშიც კი წაიყვანეს, მაგრამ მოწინააღმდეგის საბრძოლო მანერის გამოცნობის შედეგად საქართველოს სპორტსმენებმა შეძლეს ჯერ გაეთანაბრებინათ ანგარიში, შემდეგ კი მოეგოთ შეხვედრა — 9:7. ლატვიელ სპორტსმენთა ბრძოლები აღსანიშნავია ზუსტი ჩხვლეტებით ხელში მისი ყველა ვარიანტით: პირდაპირი და გადაყვანითი იერიშებით, კონტრიერიშებითა და საპასუხო მოქმედებებით როგორც უკან დახევის, ისე წინ მოძრაობის შემთხვევაში. ჩვენი რესპუბლიკის ელექტროდაშნით მებრძოლები ძირითადად ფრესიული სტილის სპორტსმენები არიან. ბრძოლის ეს მანერა კარგია მაშინ, როცა მოწინააღმდეგე სუსტია დაცვასა და კონტრიერიშში. ამასთან ჩვენი მებრძოლები იშვიათად იყენებენ ფარვებს, ხოლო თუ იყენებენ, მაშინაც ძალზე პასიურად. ფარვის შემდეგ ან აგვიანებენ, ან სრულიად არ გადადიან საპასუხო იერიშებზე.

ზემოჩამოთვლილ ნაკლოვანებათა გათვალისწინებითა და თავისთავზე ენერგიული და სისტემატური მეცადინეობით ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკავეებს შეუძლიათ კიდევ უფრო მეტი წარმატების მოპოვება ძლიერ მოწინააღმდეგეებთან.

მისასალმებელია, რომ ლატვია-საქართველოს მოფარიკავეთა მატჩი თბილისში მოეწყო, მაგრამ უფრო სასურველი იქნებოდა მომზადების დღევანდელ ეტაპზე ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდი სხვა ქალაქებშიც გამგზავრებულიყო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად. უცხო ქალაქში, უცნობ პირობებში შეჯიბრება მეტ გამოცდილებას შემატებდა ჩვენს მოფარიკავეებს.

ა. მეიფარიანი,
სპორტის ოსტატი.

ტექნიკური შედეგები:

რაპირა (ქალები)

1. ი. ესაიაშვილი (საქ.), 2. ლ. ლეია (ლატ.), 3. ი. ბოგდანოვიჩი (ლატ.), 4. ლ. შეყრილაძე (საქ.), 5. ლ. ფანჩვიძე (საქ.).

რაპირა (ვაჟები)

1. ო. კოკალეიშვილი (საქ.), 2. იანკოვსკი (ლატ.), 3. ვ. კოეუხარი (საქ.).

ესპადრონი

1. გ. გოგელია (საქ.), 2. ჯ. მაჭავარიანი (საქ.), 3. მ. სახვაძე (საქ.).

ელექტროდაშნა

1. ა. ზალტერსი (ლატ.), 2. გ. კოსტავა (საქ.) 3. ზ. ბილანიშვილი (საქ.).

ელასტიკური ხიშტი

1. ბ. ნოგატსი (ლატ.), 2. ა. ლოსაბერიძე (საქ.), 3. რ. ნებიერიძე (საქ.).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ელექტროდაშნებით ბრძოლის ერთ-ერთი მომენტი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჩვენ გვწერენ

სექციებმა შეწყვიტეს მუშაობა

წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ დროს მოწინავედ ითვლებოდა. 1953-54 წლებში აქაურმა ფეხბურთელებმა რაიონის ჩემპიონობაც კი მოიპოვეს. კოლმეურნე ფიზკულტურელები წარმატებით გამოდიოდნენ სპორტის სხვა სახეობებშიც, მაგრამ უკანასკნელ წლებში ფიზკულტურული მუშაობა თვითდინებაზე იქნა მიშვებული. სექციებმა საქმიანობა შეწყვიტეს. სპორტული ფორმების უქონლობის გამო გასული წლის რაიონულ სპარტაკიადაზე ამ სოფლის არც ერთ ფიზკულტურელს არ მიუღია მონაწილეობა.

ფეხბურთის ერთადერთი მოედანი, რომელიც აქაური ფიზკულტურელების განკარგულებაში იყო, უპატრონოდაა მიტოვებული. მოედანი შემოუღობავია, რის გამო იგი პირუტყვის სათარეშოდ იქცა, კარის ძელები სადღაც გაქრა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა ყოველივე ამას გულგრილად შესცქერის.

ვ. ფუთურიძე

ბურთი და მოედანი ბილიარდს დარჩა

რამდენიმე თვის წინათ ვურჯაანის რაიონის კულტსახლს ჭადრაკის მოყვარულთათვის ჰქონდა ოთახი. ახალგაზრდები თამაშობდნენ ჭადრაკს, იმაღლებდნენ თანრიგს, მართავდნენ შეჯიბრებებს. მაგრამ ეს მდგომარეობა ცოტა ხანს გაგრძელდა. კულტსახლის დირექციას მობეზრდა „უხმაურო" თამაში, ჭადრაკის მაგიდები ერთ კუთხეში მიყარა და ბილიარდი დადგა. სამართლიანი უკმაყოფილება გამოთქვეს მოჭადრაკეებმა. მაშინ კულტსახლის დირექციამ გადაწყვიტა „დაეშოშმინებინა" აღელვებული მოჭადრაკეები — საჭადრაკო მაგიდები ოთახიდან გამოყარა და ბურთი და მოედანი ბილიარდის მოთამაშეებს დაუთმო.

თ. გოგიაშვილი

როგორც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ასევე ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების 11 წლისთავი. მოეწყო მასობრივი სპორტული შეჯიბრებები, საზეიმო საღამოები და სხვ.

მეგობრობის ესტაფეტა

უნგრეთის განთავისუფლების დღეს მიეძღვნა ესტაფეტა, რომელშიც 4.000-ზე მეტი უნგრელი სპორტსმენი მონაწილეობდა. ქვეყნის ყველა კუთხიდან ახალგაზრდობის წარგზავნილებმა ესტაფეტა ბუდაპეშტში ჩამოიტანეს. აქ გამარჯვების მოედანზე შედგა ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც მიიღო მიმართვა საბჭოთა ახალგაზრდობისადმი.

უნგრეთის რესპუბლიკის დედაქალაქიდან ესტაფეტის მარშრუტი მიდიოდა სასაზღვრო სადგურ ზახონამდე. ქალაქიდან ქალაქამდე სადღესასწაულო ესტაფეტა მოჰქონდათ მოტოციკლისტებს, ხოლო ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში—მძლეოსნებს. საბჭოთა საზღვრამდე 320-კილომეტრიან ტრასაზე ესტაფეტის მონაწილეებს უწყობდნენ საზეიმო შეხვედრებს, მათ მიესალმებოდა ათასობით მშრომელი, იმართებოდა მიტინგები, რომლებზეც ლაპარაკობდნენ დიდი საბჭოთა ხალხის სიყვარულსა და პატივისცემაზე.

სადგურ ზახონიდან საბჭოთა საზღვრამდე ესტაფეტის წვერის ბატივი წილად ხვდათ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ფერენც პატაკის და ევა პაიორს — უნგრეთის ახალგაზრდობის დელეგაციის წევრებს, რომლებიც ჩამოსული იყვნენ უჟგოროდში საბჭოთა-უნგრეთის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით.

— შევხვდით როგორც მეგობრები, ერთმანეთის ვეშვიდობებით, როგორც ძმები, — ფერენც პატაკის ეს გულთბილი სიტყვები ჭეშმარიტი გამოხატულებაა იმ მეგობრობისა, რომელიც არის საბჭოთა და უნგრეთის ახალგაზრდობას შორის.

საზეიმო საღამოზე უნგრელმა ამხანაგებმა საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლებს გადასცეს ესტაფეტა და უნგრელი ამხანაგების მიმართვა, აგრეთვე მრავალი გულთბილი წერილი, რომლებიც ჩამოიტანეს საბჭოთა გოგონებისა და ჭაბუკებისათვის გადასაცემად.

საბჭოთა და უნგრეთის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით უნგრეთის ქალაქ მიშკოლცში გაემგზავრა საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყო უჟგოროდის ფეხბურთელთა გუნდი. 4 აპრილს სამრეწველო ქალაქ დიოშდერში უჟგოროდელები შეხვდნენ ადგილობრივ გუნდს „ვაშაშ". ეს კოლექტივი ერთ-ერთი უძლიერესია ამ ქვეყნის პროვინციების კოლექტივებს შორის და წარმატებით გამოდის რესპუბლიკის ჩემპიონატში „ბ" კლასის გუნდებში. ეს იყო საბჭოთა ფეხბურთელების პირველი საერთაშორისო შეხვედრა ამ სეზონში. მატჩის საყურებლად შეიკრიბა 20 ათასამდე კაცი, საინტერესო შეჯიბრება, რომელიც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა, დამთავრდა ფრედ — 0:0.





საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის წარმატებით ემზადებიან რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. სურათზე თქვენ ხედავთ თავისუფალ ჭიდაობაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მეცადინეობას. მარჯვნივ — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მწვრთნელი ვ. კუხიანიძე ამეცადინებს მძიმე წონის მოჭიდავეებს, მარცხნივ — მწვრთნელი მ. თიკანაძე მორიგ მეცადინეობაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 15 აპრილისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" მ.	3	3	0	0	14:2	6
„ტორპედო" მ.	3	2	1	0	8:5	5
ცდსა	2	2	0	0	7:3	4
„დინამო" ქ.	2	1	1	0	4:3	3
„შახტ." კიშ.	2	1	0	1	4:4	2
„დინამო" მ.	3	0	2	1	4:5	2
„ზენიტი" ლ.	2	1	0	1	4:5	2
ოფ. სახლი სვ.	3	1	0	2	5:11	2
„შახტიორი" სტ.	3	0	2	1	2:7	2
„დინამო" თბ.	2	0	1	1	3:4	1
„შრ. რეზერ". ლ.	3	0	1	2	6:10	1
„ლოკომოტ". მ.	2	0	0	2	2:4	0

• • •

სტალინო. 13 აპრილი. მორიგი ჩემპიონატის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე შედგა ადგილობრივ „შახტიორსა" და მოსკოვის „სპარტაკს" შორის.

დიდი ანგარიშით — 5:0 გაიმარჯვა „სპარტაკმა".

• • •

კიევი. 13 აპრილი. აქ გაიმართა შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსა" და ლენინგრადის „შრომითი რეზერვების" შორის.

მატჩი მოიგეს ტორპედოელებმა — 5:3.

• • •

კიევი. 14 აპრილი. დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „დინამოს" და სვერდლოვსკის ოფიცერთა სახლის გუნდები.

თამაში დამთავრდა სვერდლოვსკელთა გამარჯვებით — 3:2.

გათამაშებას ლიდერობს ნონა გაფრინდაშვილი

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი

თბილისელი ჭადრაკის მოყვარულები დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატისადმი. დედაქალაქის საჭადრაკო კლუბი ვერ იტევს ყველა მსურველს, ვინც დაძაბული ბრძოლის პერიპეტიებს. ტურნირისადმი ესოდენ დიდი ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ მზარდი ახალგაზრდობა ნ. გაფრინდაშვილის, მ. ტოგონიძისა და ლ. ხაჭაპურიძის სახით „მოურიდებლად" და ენერგიულად მიიწევს წინ — რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო სახელისკენ.

უკვე დამთავრდა ჩემპიონატის პირველი ნახევარი. ამიტომ შეიძლება ზოგიერთი შენიშვნის გაკეთება.

მრავალრიცხოვან მაყურებელთა განსაკუთრებული სიმპათიებით სარგებლობს ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, თბილისის 68-ე სკოლის VIII კლასის მოსწავლე ნონა გაფრინდაშვილი, რომელიც I ტურიდანვე სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას. გათამაშებულ ათ ტურში ნორჩმა მოჭადრაკემ მიიღო 10 შეხვედრა. ეს შედეგი არ თხოულობს კომენტარებს. მის მიერ დამარცხებულთა შორის არიან მოსკოველი სპორტის ოსტატი ნ. ვოიცეკი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქ. გოგიავა, საბჭოთა კავშირის გოგონათა ჩემპიონი მ. ტოგონიძე, პირველთანრიგოსნები ლ. ხაჭაპურიძე, ლ. ნაჭყებია და სხვები. გათამაშებული პარტიები ცხადყოფენ, რომ ნ. გაფრინდაშვილი თავისი მწვრთნელის ვ. ქარსელაძის დახმარებით შეჯიბრებისათვის ჩინებულად მომზადებულა.

მტკიცედ, მონდომებით იბრძვიან მ. ტოგონიძე და ლ. ხაჭაპურიძე. ნიჭიერი მოჭადრაკეები კარგად ერკვევიან პოზიციაში და მათი წარმატება საკმაოდ დამსახურებულია. აღსანიშნავია მ. ტოგონიძის შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ ო. იგნატიევასთან, რომელიც ცხარე შეტაკების შემდეგ ყაიმით დამთავრდა. ლ. ხაჭაპურიძე მზადაა ყველა პარტია კომბინაციური, შემტევი სტილით ითამაშოს.

სუსტად დაიწყეს შეჯიბრება საქართველოს მრავალგზის ჩემპიონებმა ე. კაკაბაძემ და ქ. გოგიავამ. ე. კაკაბაძე ჩამორჩა ლიდერებს იმის გამო, რომ მოულოდნელად მანველოვასთან საკვებით მოვებულ პოზიციაში დამარცხდა, ქ. გოგიავა კი ავადმყოფობის გამო დაბალ დონეზე ატარებს შეხვედრებს.

დინჯად, თავის ძალებში დარწმუნებით იბრძვიან მოსკოველი ოსტატები ო. იგნატიევა და ნ. ვოიცეკი. მათ ძლიერი თამაშით თავისი წვლილი შეიტანეს სატურნირო ბრძოლის სიმწვავეში.

გასათამაშებელი დარჩა კიდევ რვა ტური, რომლებიც უდავოა საპრიზო ადგილების განაწილებაში თავის კორექტივებს შეიტანს.

X ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ნ. გაფრინდაშვილი — 10 ქულა. ო. იგნატიევა — 8 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ნ. ვოიცეკი — 6,5 ქულა, ლ. ხაჭაპურიძე — 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, მ. ტოგონიძე და ე. კაკაბაძე — 5,5 ქულა თვითეულს და ა. შ.

ქვემოთ ვბეჭდავთ გაფრინდაშვილისა და ვოიცეკის პარტიას, რომელშიც გათამაშდა სიცილიური დაცვა.

ნორჩი მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი ოსტატთან თავისი პირველი შეხვედრისათვის სერიოზულად მოემზადა. დებიუტში გამოცდილ მეტოქეს მან ნაკლებად შესწავლილი გაგრძელება შესთავაზა. ამას ვოიცეკმა კუს ვერდითი განვითარებით უპასუხა, მაგრამ თამაში ვერ გაათანაბრა. ფიგურების განვითარების დამთავრებით ნ. გაფრინდაშვილმა (მე-18 სვლაზე) ცენტრში აქტიური ოპერაციები წამოიწყო. შამათის ან ხარისხის მოგების მუქარით (22-ე სვლა) მან აიძულა ოსტატი პაიკის დათმობაზე წასულიყო. ამის შემდეგ იგი მეთოდურად ცვლის ფიგურებს და შექმნილ დაბოლოებაში (34_37 სვლები) თითქოს თანახმაა სვლების გამეორებაზე, მაგრამ მოულოდნელად (იხილე დიაგრამა) ხარისხს იგებს. მომდევნო თამაშში ნ. გაფრინდაშვილმა გამოამჟღავნა უპირატესობის რეალიზაციის შესანიშნავი ტექნიკა. განსაკუთრებით ეს ითქმის პარტიის 42_ე სვლის შემდგომ თამაშზე.

1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კ:d7+ ლ:d7 5. 0—0 g6 6. c3 კg7 7. d4 cd 8. cd მc6 9. მc3 მf6 10. h3 0—0 11. ლa4 a6 12. b4 ლc7 13. კe3 b5 14. ლb3 ლb7 15. ეac1 a5 16. a3 ab 17. ab ეa6 18. e5 de 19. de მd7 20. e6 fe 21. ლ:e6+ მფh8 22. მg5 მce5 23. ლ:e7 h6 24. მge4 g5 25. ეfd1 მფh7 26. მc5 მ:c5 27. ლ:c5 ეf5 28. მფf1 კf8 29. ლ:b5 ლ:b5 30. მ:b5 კ:b4 31. ეc7+ მფg6 32. კd4 მf7 33. მc3 კd6 34. ეc8 კe5 35. კe3 მd6 36. ეc5 მb7 37. ეb7 მd6



38. g4! კ:c3 39. gf+ მ:f5 40. ეb6+ ე:b6 41. კ:b6 კe5 42. მფe2 მh4 43. კc5 მფh5 44. კd6 კ:d6 45. ე:d6 მg2 46. მფf3 მh4+ 47. მფe4 მg2 48. ეf6 მh4 49. მფe5 მg6+ 50. მფf5 მh4+ 51. მფe5 მg6+ 52. მფe4 მh4 53. ეb6 მg2 54. მფf5 მf4 55. h4 მg2 56. hg hg 57. ეb3 მh4+ 58. მფf6 მფg4 59. ეg3+ მფf4 60. ე:g5 მf3 61. ეa5 მh2 62. ეf5+ მფe4 63. მფg6 მf3 64. ეf8 ვოიცეკი დანებდა.

საკავშირო კომიტეტში

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა 25 წლის განმავლობაში აქტიური და ზუსტი მსაჯობისათვის საპატიო მსაჯის სამკერდე ნიშნით დააჯილდოვა საკავშირო კატეგორიის მსაჯები: სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. დიაჩკოვი, პ. იორდანიშვილი, ლ. კაპიტანოვი, ქ. მალიშკოვი და ა. ტარასევიჩი.

ჭიდაობა

საქართველოს პირად-გუნდური პირველობა ჭიდაობა სამბოში

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში დაიწყო რესპუბლიკის 1956 წლის პირად-გუნდური პირველობა ჭიდაობა სამბოში. შეჯიბრებაში მონაწილეობს 58 სპორტსმენი, მათ შორის უმრავლესობა გამოდის პირველ ჩათვლაში. გუნდური გამარჯვებისათვის იბრძვიან თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, გორისა და ქუთაისის წარმომადგენლები.

ჩემპიონატის პირველ დღეს გაიმართა რამდენიმე საინტერესო შეხვედრა. საქართველოს გასული წლის ჩემპიონმა ინასარიძემ (უმძიმესი წონა) სუფთა გამარჯვება მოიპოვა სოხუმელ ხასაიასთან შეხვედრაში. „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პრიზიორი თბილისელი ქიზიყელაშვილი შეხვდა ბათუმელ ჩაფიძეს. პირველი გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა თავის მოწინააღმდეგეზე და ადვილად მოიპოვა გამარჯვება.

ინტერესით მოელოდა მაყურებელი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სპორტის ოსტატ კაციაშვილის გამოსვლას. ამჯერად მისი მოწინააღმდეგე ახალგაზრდა ... იყო. ჩემპიონის ყოველგვარ ცდას მიეღწია სუფთა გამარჯვებისათვის, შედეგი არ მოუცია. ჩქარეული ოსტატურად იცავდა თავს. გამარჯვება ქულებით წილად ხვდა კაციაშვილს.

მსუბუქი წონის მოჭიდავეებიდან აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სპორტის ოსტატ გრატიაშვილის შეხვედრა გორელ მაზარაშვილთან. როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა უფრო გამოცდილმა გრატიაშვილმა. „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის სულიაშვილისა და ზანგურაშვილის შეხვედრა 3 წუთში დამთავრდა. გაიმარჯვა პირველმა.

პირველი დღის ყველაზე ხანმოკლე შეხვედრა თბილისელ მოჭიდავეებს მამაცაშვილსა და მათიაშვილს შორის აღმოჩნდა. სხარტი და მოულოდნელი მოძრაობით, მტკივნეული ილეთის გამოყენებით მამაცაშვილმა 11 წამში ძლია მოწინააღმდეგეს.

მძიმე წონაში მხოლოდ 2 წყვილი გამოდიოდა. თბილისელმა ლაფაურმა ადვილად დაამარცხა ქუთაისელი ხონელიძე, ხოლო ჩიკვილაძემ (თბილისი) — კერესელიძე (ბათუმი).

შეჯიბრება დამთავრდება დღეს.

ა. ბარნოვი

• • •

სურათზე: შეჯიბრების მომენტები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

სამბო

სპორტულ საზოგადოებებში

„ბურევესტნიკი"

დამთავრდა „ბურევესტნიკის" ლაგოდეხის რაიონული საბჭოს პირველობა მძლეოსნობაში.

ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებული გამოვიდა სოფელ ფიჩხოვანის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი ვ. მეტრეველი, მეორე ადგილზეა გ. სამარგულიანი (ყარსუბნის საშუალო სკოლა), მესამეზე — ა. აბუსერიძე (ულიანოვსკის 8-წლიანი სკოლა). ქალთა შორის მძლეოსნობის ამ სახეობაში ყველას აჯობა მ. კალინინის სახელობის ლაგოდეხის რუსული საშუალო სკოლის მასწავლებელმა ე. დობრანეცკაიამ. მეორე ადგილზე გამოვიდა ლელიანის საშუალო სკოლის მასწავლებელი ც. ნანობაშვილი, მესამეზე — ქ. კაპანაძე (ვარდისუბნის საშუალო სკოლა).

სიგრძეზე ხტომასა და უმბარის ტყორცნაში ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ი. ჭავჭავაძის სახელობის ლაგოდეხის ქართული საშუალო სკოლის მასწავლებელი თ. ყაველაშვილი. სიგრძეზე ხტომაში მეორე ადგილი მოიპოვა დ. სამარგულიანმა, უმბარის ტყორცნაში — ვ. მეტრეველმა.

ქალთა შეჯიბრებაში როგორც სიგრძეზე ხტომაში, ისე უმბარის ტყორცნაში პირველი ადგილი მოიპოვა მ. ნანობაშვილმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ე. დობრანეცკაია, სიგრძეზე ხტომაში მესამე ადგილი წილად ხვდა ვარდისუბნელ ი. როშოიანს, უმბარის ტყორცნაში — ქ. კაპანაძეს.

გ. ბაბაური

„უროჟაი"

დიდ ჯიხაიშში დამთავრდა „ უროჟაის" რესპუბლიკური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა გორის, დილმის, ბაკურციხის, მაჩხაანის, მცხეთის, ბორჯომის, ლაგოდეხის, ზესტაფონის, სოხუმისა და სხვათა სატყეო, სასოფლო-სამეურნეო და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმების 21 გუნდის 162 სპორტსმენი.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა დილმის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმის მოჭიდავეთა კოლექტივი. მეორეზეა დიდი ჯიხაიშის, მესამეზე — ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების გუნდები.

ო. იველაშვილი

ჭაბუკთა და გოგონათა შორის

ბათუმში დამთავრდა რესპუბლიკური შეჯიბრება ფრენბურთში მოსწავლეთა შორის, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, სტალინირის, რუსთავის, გორის, ახალქალაქის, ბორჯომის, თელავის, ზესტაფონის, წყალტუბოს, წითელწყაროსა და ბოლნისის ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები.

ჭაბუკთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის კოლექტივი, მეორე ადგილზე არიან გორის, მესამეზე — სტალინირის სპორტსმენები. გოგონებში გაიმარჯვა თბილისის გუნდმა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ბორჯომელი და გორელი ფრენბურთელები.

შ. მამინაშვილი

უკანასკნელი მატჩი

...ჯერ კიდევ ადრე, სიყმაწვილეში, ვოცნებობდი მოკრივე გავმხდარიყავი. ამისათვის ყველა მონაცემი მქონდა: ძლიერი დარტყმა, კარგი რეაქცია, გამძლეობა... ვინ იცის, იქნებ მეც მიმეღწია მიზნისათვის, რომ მეპატრონეს ქარხნიდან არ გამოვეგდე. ჩვენმა ქარხანამ მონაწილეობა მიიღო იმ დროისათვის ყველაზე დიდ გაფიცვაში. გაფიცულთა შორის, რასაკვირველია, მეც ვიყავი. ორი კვირა მშიერ-მწყურვალი დავეხეტებოდი ქუჩებში. მეტი ვეღარ გავძელი. დავკარგე რწმენა საკუთარი თავისადმი და საერთოდ ყველას მიმართ, გავბოროტდი, გადავწყვიტე ყოველგვარი საქმისათვის მომეკიდა ხელი, ოღონდაც კარგი შემოსავალი მქონოდა. ბოლოს პოლიციელად მოვეწყე შორეულ ჩრდილოეთში. და ის მატჩი რომ არა, რომელიც ჩემი უკანასკნელი ბრძოლა იყო და რომლის შესახებ შენ ახლა მოისმენ, შესაძლებელია დავღუპულიყავი კიდეც.

წაგიკითხავს რაიმე ჩრდილოეთის შესახებ? ეს არის შიშის მომგვრელი, მიყრუებული და უკაცრიელი ადგილი. მთელი დღეები, კვირეებიც კი შეგიძლია იარო და ერთ სულიერსაც ვერ შეხვდე. მაგრამ ჩრდილოეთი — ლტოლვილ ბოროტმოქმედთა შესანიშნავი თავშესაფარია. ჩვენი მოვალეობა მხოლოდ ის იყო, რომ ლტოლვილები დაგვეჭირა. ერთხელ, შემთხვევით, ხელთ ჩაგვივარდა ზანგი კარო დეივისი, ალბათ, გაგიგონია, ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე. მას არც თუ ისე დიდი საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ თავის დაღწევის მიზნით, მაინც გამოიქცა სამხრეთ შტატებიდან. ხომ იცი, სამხრეთში სულ უბრალო დანაშაულისთვისაც კი სჯიან. აი, მოკლედ ამ მოკრივის ისტორია, თუმცა მის შესახებ თავის დროზე გაზეთებშიც ბევრი იწერებოდა.

...იმის შემდეგ, რაც დეივისმა ზედიზედ წააგო ორი შეხვედრა, მისმა მენეჯერმა ჩარლზ ლევინგსტონმა დაითხოვა ის და ჯამაგირის მიცემაზე უარი უთხრა. დეივისმა გაიზრახა სამაგიერო მიეზღო თეთრი ბატონისათვის... შესაძლებელია, ზანგს კიდეც გასწორებოდნენ ლინჩის წესით, რომ დეივისს თავისი რკინისებური მუშტებით „ზრდილობიანად" საკმაო მანძილზე არ შეეჩერებინა აზვირთებული ბრბო. მოკლედ რომ ვთქვათ, დეივისმა მოახერხა გასხლტომოდა მათ და გაქცეულიყო.

ჩვენ სულ სხვას ვეძებდით და დეივისის დაჭერამ გეგმები ჩაგვიშალა. ჯგუფის ხელმძღვანელს სერჟანტ ტეილორს, რასაკვირველია, სულითა და გულით სურდა სამსახური გაეწია თავისი სამხრეთელი კოლეგებისათვის, მაგრამ ამავე დროს შეუძლებელი იყო დეივისიც თან ეტარებინა. სერჟანტმა გადაწყვიტა პატიმარი ერთ-ერთ საპოლიციო ჯიხურში დაეტოვებინა და გუშაგად რომელიმე ჩვენთაგანი მიეჩინა. ტეილორმა არჩევანი ჩემზე შეაჩერა. მართალი გითხრა, მე თვითონვე მოვაწყვე ისე, რომ ტეილორს ეს დავალება ჩემთვის დაეკისრებინა.

შენ, ალბათ, ფიქრობ, რომ ახლა ამ საუბრის შინაარსს მოგიყვები, არა, ჩემო მეგობარო, ხომ არ გგონია, რომ ჩვენ სიგარები გავაბოლეთ და ბაასი გავაბით? ანდა დეივისმა მომითხრო რომელიმე ძალზე საინტერესო ეპიზოდი თავისი სპორტული ცხოვრებიდან? სრულებითაც არა. ჩვენ სულ სხვაგვარად მოვიქეცით... არ დაიჯერებ... მუშტი-კრივი გავაჩაღეთ...

მე ყოველთვის თან დამქონდა რომელიღაც ჟურნალიდან ამოჭრილი დეივისის სურათი. იმ დროს დეივისი სპორტული დიდების ზენიტში იყო. ამ სურათზე გამოხატული იყო ბრგე აღნაგობის მამაკაცი ძლიერი კუნთებით, შავი ბზინავი კანითა და ხალისიანად მომღიმარი სახით. დეივისი არც თუ ისე შეცვლილიყო. მხოლოდ თმა აქა-იქ შევერცხლოდა, სახეზეც ოდნავ გამხდარიყო. მაგრამ ჩემს წინაშე მაინც ის კაცი როდი იდგა, ვის ნახვასაც ასე ვესწრაფოდი.

ა. მანდოჯიევი

დეივისს სახე ვაფითრებოდა, ტუჩები გულმოსულად წინ გამოეწია, ცხვირის ძვალზე გამავალი ღრმა ნაოჭი კიდევ მეტ მკაცრ იერს აძლევდა. ოთახში ფართო, ნერვიული ნაბიჯით მიმოდიოდა. ეტყობოდა, ძალზე ბრაზობდა, რომ ხელთ ჩაგვივარდა.

როგორ არ ვეცადე, მაგრამ სულ ტყუილად, საუბარი მაინც ვერ გავაბი. იგი მპასუხობდა მოკლედ, ზოგჯერ მკაზედაც, ვატყობდი, რომ უფრო და უფრო ბრაზობდა. რა უნდა მექნა? თავი გავანებე. მივხვდი, რომ ვეზიზღებოდი, ვერ მიტანდა... ვეზიზღებოდი არა მარტო მე, არამედ ჩემთან ერთად ყველა, ვინც ასე გაუმწარა მას სიცოცხლე, მოსწყვიტა ოჯახს, აქცია დამფრთხალ მხეცად, რომელსაც მოსაკლავად დასდევენ...

იმის მაგივრად, რომ მეგრძნო შიში სიძულვილით ანთებული ჩემი ტყვის წინაშე, მე გამსჭვალული ვიყავი მხოლოდ სიბრალულით, სიმპათიებით და სურვილით ჩემი პატივისცემა გამომეთქვა ამ ადამიანის მიმართ.

და აი ახლა, როდესაც დეივისთან მარტო დავრჩი, გადავწყვიტე გამეგო რას წარმოადგენ მე? ნუთუ ასე სავალალოა ჩემი ბედი? თავს ხომ არ ვიტყუებ? მართლაც ხელიდან ხომ არ გავუშვი შესაძლებლობა რინგის გამოჩენილი ოსტატი ეყოფილიყავი?

ფიქრები მაწვალებდნენ, ვერ ვისვენებდი...

როდესაც ზანგმა გაიღვიძა, ჩვენს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— ეი, დეივის, რას იტყვი კრივი რომ გავმართოთ? საქმე მაინც არაფერი გვაქვს. რა შეიძლება იყოს ამაზე უკეთესი — კრივი უხელთათმანოდ, მსაჯისა და მაყურებლის გარეშე, წესების ყოველგვარი დაცვით!

პასუხად ზანგმა მხოლოდ თითები გაანძრია ოდნავ, თითქოს უნდოდა ეთქვა: „შენ რა, ხუმრობ?"

— სრულებითაც არა, სერიოზულად გეუბნები.

დეივისი ჩაფიქრდა, შემდეგ მკითხა:

— დიდი ხანია რინგი მიატოვე?

— ახალბედა გგონივარ? ვნახოთ, იქნებ ჯაფაც დაგადგეს.

—ოჰო, შენ იმედიცა გაქვს, იმუქრები კიდეც. გიხაროდეს, რომ ხელები გაკრული მაქვს, — მიპასუხა მან და ხელბორკილი გააჩხარუნა.

— მოგხსნი, თანახმა ხარ?

— ჭკუაზე ხომ არ შეიშალე!

ზანგს განცვიფრებით თვალები ებნთო. მივხდი რაც გაიფიქრა: იგი სრულებით ვერ მალავდა აღელვებას, რომელიც სულ უფრო და უფრო ეუფლებოდა.

წელ ზევით გავიხადე. რევოლვერი არ მომიხსნია.

— შენ მაინც დიდ განზადვას იჩენ, — ჩაილაპარაკა დეივისმა.

ხელბორკილის გასახსნელად გასაღები გადავუგდე.

მაგიდა კედელთან მივდგით, თავისუფალ ადგილზე დავდექით. მე საბრძოლო დგომი მივიღე. ნაბიჯი წინ წავდგი. დეივისი არც განძრეულა. გული მომივიდა, გაბრაზებული ნივარდი და მოვუქნიე... უცებ ნიკაპქვეშ მისი მუშტის საშინელი დარტყმა ვიგრძენი, თავბრუ დამეხვა, ვცადე კედელს ბეჭებით მივყრდნობოდი, რომ არ წავქცეულიყავი... ვატყობ ძალა მელევა, სადაც არის ჩავიკეცები... მაგრამ, როგორც იქნა, გავუძელი, თავი შევიმაგრე, არ წავიქეცი. გაკვირვებული დეივისი გამომცდელი თვალებით მომჩერებოდა.

ხელის კანკალით ბუდიდან რევოლვერი ამოვიღე... ო, რომ იცოდე, როგორი თვალებით შემომხედა! ჩემს დღეში არ დამავიწყდება ეს შემოხედვა.

— არა, — შევძახე მე, — არა, დეივის! პატიოსნად ვიბრძოლოთ.

კარები გავაღე და რევოლვერი შორს გადავისროლე.

ზანგისაკენ რომ შემოვბრუნდი, ის მიღიმოდა თბილი, მომხიბვლელი ღიმილით. გავიდა რამდენიმე წამი, არ ვიცი, შეიძლება წუთიც, რომ კვლავ ვიგემე მისი მუშტის ძალა. ამჯერად კი ველარ გავუძელი, მოცელილი ბალახივით დავეცი.

რამდენ ხანს ვიწექი არ მახსოვს... ძლივს წამოვდექი. საშინლად ციოდა. მიმოვიხედე. ჩემს მეტი ოთახში არავინ იყო. „გაიქცა", — გავიფიქრე მე და კარები გამოვაღე.

წყნარი, ცივი და ნათელი ღამე იყო — ჩრდილოეთის ციალით დამშვენებული... კარის ზღურბლს იქით, თოვლზე, ნაფეხური შევამჩნიე. თვალი გავაყოლე. კვალი სადღაც შორს, ტყის სიღრმეში იკარგებოდა. ზღურბლზე ჩამოვჯექი, ჩიბუხი ამოვიღე. დიდი უსიამოვნება მელოდა. მაგრამ, შენ წარმოიდგინე, რატომღაც, სრულებით არ ვღელავდი. არც სურვილი მქონდა ლტოლვილს გამოვდევნებოდი...

უცებ თოვლის ხრაშუნი მომესმა. შევკრთი. თავი ავწიე. ჩემსკენ ვიღაც მოაბიჯებდა... კარო დეივისი! ნუთუ ის არის? გაოცებისაგან წამოვხტი. თვალებს არ ვუჯერებდი. დიახ, ის იყო, ის. ზანგს ვეებერთელა ფიჩხის კონა ამოეღლიავებინა. ძალზე დამშვიდებული სახე ჰქონდა. ჩემს ახლოს წყნარად გაიარა და ჯიხურში შევიდა. მეც თან შევყევი. ფიჩხი ბუხარში შედო და ცეცხლი გააჩაღა. ზანგს თავი ისე ეჭირა თითქოს ჩვენს შორის არაფერი არ მომხდარიყოს. მივჩერებოდი მას და ჩემს გულს რაღაც ახალი, უჩვეულო და სასიამოვნო გრძნობა ეუფლებოდა. ეს ახალი სულს მითბობდა, ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლი კი — გათოშილ სხეულს.

ჩანთიდან საგზალი ამოვიღე. ორად გავყავი. ცოტა დავნაყრდით. შემდეგ ვკითხე:

— დეივის, მოდი დავმეგობრდეთ. წავიდეთ ერთად. გამოცდილი კაცი ხარ, შენთან არ გამიჭირდება.

დეივისი მიმიხვდა. გაიღიმა. მას კვლავ ხალისიანად მომღიმარი სახე ჰქონდა. ახლა კი ჩემს წინ სწორედ ის დეივისი იდგა, ჟურნალიდან ამოჭრილ სურათზე რომ მენახა.

რევოლვერი მოვძებნეთ, ჩვენი ნივთები ავკრიფეთ, გამოვიკეტეთ საპოლიციო ჯიხურის კარები და გავუდექით ხიფათით სავსე ცხოვრების ახალ გზას.

თარგმნა ბ. დარსაძემ

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციაში

ჭიდაობის სამოყვარულო საერთაშორისო ფედერაციის ბიურომ ამას წინათ ამსტერდამში გამართულ მორიგ სხდომაზე განიხილა ორგანიზაციული და ტექნიკური საკითხები, რომელთა დ ა მ უ შ ა ვ ე ბ ა ბევრ ახალს შეიტანს სპორტის ამ სახეობის შემდგომ სრულყოფასა და განვითარებაში.

ბიურომ გადაწყვიტა ყოველწლიურად მოაწყოს ფედერაციის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში იმ წელს, როცა ჩატარდება მსოფლიო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში და კლასიკურ ჭიდაობაში იმ წელს, როცა მოეწყობა მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში გამარჯვებულ გუნდებს გადაეცემათ გარდამავალი ვერცხლის თასი, გუნდის წევრებს — ოქროს მედლები. გარდა ამისა წონით კატეგორიებში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან პატარა თასებითა და მედლებით.

შეჯიბრებები თასზე მოეწყობა მსოფლიო ჩემპიონატის წესებით. მოჭიდავე, რომელიც ჩემპიონობას მოიპოვებს თავის წონით კატეგორიაში გუნდს აძლევს 6 ქულას, მეორე ადგილზე გამოსული — ხუთს, მესამეზე გამოსული — ოთხ ქულას და ა. შ.

თასის პირველი გათამაშება მოეწყობა სტამბოლში მიმდინარე წლის მაისში, როგორც თავისუფალ, ისე კლასიკურ ჭიდაობაში.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ფედერაციის სხდომების დღის წესრიგში უცვლელად იყო ჭიდაობის ხანგრძლივობის შემცირების საკითხი 15-დან 12 წუთამდე. ბიუროს წევრთა ერთი ნაწილის აზრით დროის შემცირება ჭიდაობას უფრო აქტიურსა და საინტერესო სანახავს გახდის. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ბიუროს წევრთა უმეტესობამ (საბჭოთა წარმომადგენელი გამოვიდა ამ წინადადების წინააღმდეგ) და დაადგინა ჭიდაობის ხანგრძლივობა შემცირდეს 12 წუთამდე.

ინგლისის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარის მაკენზის წინადადებით ბიურომ მიიღო დადგენილება: პირველ ხუთ წუთში ჭიდაობა ჩატარდეს დგომში, შემდეგი ორ-ორი წუთი ჩოქპარტერში, ხოლო ბოლო სამი წუთი ისევ დგომში. გარდა ამისა სპორტსმენს, რომელსაც კენჭისყრით ჩოქპარტერში დგომა მოუხდება, უფლება ეძლევა ბრძოლის დაწყების შემდეგ ადგეს და ჭიდაობა განაგრძოს დგომში. ეს ცვლილებები მოქმედებაში შევა მას შემდეგ, როცა მათ დაამტკიცებს კონგრესი, რომელიც მოწვეულ იქნება მიმდინარე წლის ნოემბერში, მელბურნში.



ტანმოვარჯიშეები მელბურნში

როგორც შვეციის გაზეთი „ბაზლერ ნახრიხტენი" იუწყება, ტანმოვარჯიშეთა ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობის მისაღებად წინასწარი განცხადების მიღების ვადა ამოიწურა. მელბურნში წასვლაზე სურვილი განაცხადა 20 სახელმწიფოს 74-მა ტანმოვარჯიშე ვაჟმა და 63-მა ქალმა.

ტურნირში ქალთა და ვაჟთა გუნდებს წარმოადგენენ: ბულგარეთი, იტალია, რუმინეთი, საბჭოთა კავშირი, შვეცია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი და ამერიკის შეერთებული შტატები. პირად ჩათვლაში მონაწილეობას მიიღებენ საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიის, კანადის, ლუქსემბურგის, სამხრეთ აფრიკის კავშირისა და იუგოსლავიის ტანმოვარჯიშეები.

ინგლისელი მძლეოსნები გამოთქვამენ აზრს

— როგორი მაჩვენებლებით არიან ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას? — ასეთი კითხვით მიმართა ინგლისურმა ჟურნალმა „უორლდ სპორტმა" თავისი ქვეყნის რამდენიმე გამოჩენილ მძლეოსანს.

როგორც პასუხებიდან გამოირკვა, ბრაიან ჰიუსონის მიზანია გამარჯვება მოიპოვოს 1500 მეტრზე რბენაში. ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე მას სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს 6 საერთაშორისო შეხვედრაში.

ბობ შოუ იბრძოლებს ოქროს მედლისათვის მხოლოდ 400 მეტრზე თარჯებით რბენაში, ვინაიდან იგი ცოტა [illegible] თავს, საწვრთნელი გეგმის შედგენაზე ჯერ არ უფიქრია. შოუს აზრით ოლიმპიურ ექვსეულში მოსახვედრად საკმარისი იქნება 51,5 წამის ჩვენება. ოქროს მედალს კი მოიპოვებს ის სპორტსმენი, რომელიც 400 მეტრს თარჯებით გაირბენს 50,6 წამში.

გოფმანი მიმართავს სენატორებს

ამერიკის შეერთებული შტატების ძალოსანთა ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ბობ გოფმანმა, რომელიც გუნდს ამზადებს მელბურნის ოლიმპიური თამაშებისათვის, კონგრესს მიმართა წერილით, უარი თქვას თითების ანაბეჭდებისაგან, რაც საბჭოთა სპორტსმენებს მოთხოვეს და ამით საშუალება მისცეს მათ ჩამოვიდნენ ამერიკაში მატჩის ჩასატარებლად. გოფმანმა წერილი გაუგზავნა აგრეთვე სენატორებსა და წარმომადგენელთა პალატის ყველა წევრს, რომლებსაც მოაგონებს, რომ მსოფლიო ჩემპიონის, საბჭოთა კავშირის ძალოსანთა გუნდის აშშ-ში ჩასვლა ხელს შეუწყობდა როგორც ამერიკელ ძალოსანთა ტექნიკურ ზრდას, ისე მეგობრობის განმტკიცებას ამ ორ ხალხს შორის.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-33-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14.

უე 00184